

**ექსპორტის დივერსიფიკაცია და ეკონომიკური ზრდა:
ქვეყანათა შორისი ანალიზი
(პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე)**

დავით სიხარულიძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ვასილ კიკუტაძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

კვლევის ძირითადი მიზანია ექსპორტის დივერსიფიკაციის დინამიკისა და მისი ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის ანალიზი შვიდი ქვეყნის: საქართველოს, უკრაინის, ბელარუსიის, ლიტვის, ლიეტუვოს, ესტონეთის მაგალითზე 1997-2019 წლებში. ეკონომიკურ ზრდაზე ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენის შეფასება განხორციელდა დინამიკური პანელური რეგრესული მოდელის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია „GMM“ მეთოდზე.

თითოეული ქვეყნისთვის ექსპორტის კონცენტრაციის გამოსათვლელად ვიყენებთ ჰერფინდალის ინდექსს, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, უარყოფით დამოკიდებულებაში იქნება მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე. კვლევაში ასევე გამოყენებულია ისეთი ცვლადები, როგორებიცაა ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საწყისი შემოსავალი, ეკონომიკის ღიაობა, განათლება, მოსახლეობის ზრდის ტემპი, სოფლის მეურნეობის, მომსახურების და მრეწველობის დამატებული ღირებულების თანაფარდობები მშპ-სთან. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე ზრდაზე.

***საკვანძო სიტყვები:** ექსპორტის დივერსიფიკაცია, ჰერფინდალის ინდექსი, მთლიანი შიდა პროდუქტი*

ექსპორტის დივერსიფიკაცია და ეკონომიკური ზრდა: ქვეყანათა შორისი ანალიზი (პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე)

დავით სიხარულიძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ვასილ კიკუტაძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი


ექსპორტის დივერსიფიკაცია არის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელსაც ქვეყანა ახორციელებს ეკონომიკური ცვლილებებისადმი მოწყვლადობის შესამცირებლად (Koren, 2013). ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, რომლებიც ჩვეულებრივ ხასიათდებიან ეკონომიკური სტრუქტურის დაბალი დივერსიფიკაციით (Cadot, 2011). თეორიული თვალსაზრისით, წარმოებული საქონლის მრავალფეროვნების გაზრდა დადებით გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე და ეკონომიკურ ზრდაზე (Grossman, 1991). შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნულ საკითხს ეკონომიკური ზრდის მოდელებში დიდი ყურადღება ექცევა.

ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაფასებლად მრავალ კვლევებში იყენებენ კონცენტრაციის ფენომენს, რომელიც ძირითადად შედგება სასაქონლო და საბაზრო კონცენტრაციისგან. ქვეყნები სასაქონლო კონცენტრაციით ხასიათდებიან საბაზრო ფასების არასტაბილურობით, რაც აისახება გაცვლით კურსზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ დივერსიფიცირებული სავაჭრო პორტფელით და ექსპორტის გაფართოებით შესაძლებელია ექსპორტის სტაბილურობის შენარჩუნება და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. მაკრო დონეზე ქვეყნის ეკონომიკაში სპეციალიზაციის მაღალი დონე გულისხმობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას (Ricardo, 1817). სპეციალიზაცია ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია, რომელიც განვითარებად ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ივაჭრონ მდიდარ ქვეყნებთან (Kaulich, 2012). ის ასევე წარმოების კონცენტრაციისა და მაღალი მწარმოებლურობის საქმიანობის შესაძლებლობას იძლევა. ექსპორტის დივერსიფიკაცია მოიცავს ექსპორტის სასაქონლო ჯგუფს ექსპორტის პორტფელში, რომელიც შეიძლება იყო ვერტიკალური და ჰორიზონტალური. ჰორიზონტალური დივერსიფიკაციის შემთხვევაში ადგილი აქვს პირველადი სექტორის ექსპორტის კომპლექსის ელემენტების ცვლილებებს ისეთი ფორმით, რომ შეამციროს საერთაშორისო სასაქონლო ფასების ცვალებადობის ეფექტი ან ხდება ექსპორტზე ორიენტირებული ახალი სექტორების დანერგვა. ვერტიკალური დივერსიფიკაცია კი ინოვაციების დახმარებით, ძირითადი წარმოების სასაქონლო პროდუქციის გადამუშავების შედეგად ზრდის არსებული პროდუქციის დამატებულ ღირებულებას.

ქვემოთ დიაგრამაში 1 მოცემულია შვიდი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსების დინამიკა 1997-2019 წლებში.

დიაგრამა 1

HH ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი ქვეყნების მიხედვით¹



ექსპორტის კონცენტრაცია შეფასებულია ჰერფინდალის ინდექსით². დიაგრამა 2 აჩვენებს, რომ აზერბაიჯანის ექსპორტის კონცენტრაცია ზრდის ტენდენციით ხასიათდება რაც ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკის სტრუქტურა არ არის დივერსიფიცირებული. საქართველოში ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსი ზრდის ტენდენციის ხასიათდება 2014 წლამდე, თუმცა 2014 წლიდან აღნიშნული ინდექსის ტრენდი მცირედით იწყებს შემცირებას, რაც გულისხმობს საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიცირებას. ბელარუსიის შემთხვევაში ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსს შემცირების ტენდენცია აქვს. დიაგრამაში მოცემული ქვეყნებიდან კონცენტრაციის დაბალი ინდექსი გააჩნია ლატვიას, ესტონეთს, ლიეტუვოს და უკრაინას.

შემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, საინტერესოა, შევისწავლოთ ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ეკონომიკური განვითარების სტრუქტურულ მოდელებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა აღწერილია ექსპორტის დივერსიფიკაციით (Chenery, 1979). ექსპორტის ნაკლებად მდგრადობა წარმოადგენს მთავარ მიზეზს ექსპორტის დივერსიფიკაციის აუცილებლობის დასასაბუთებლად, ვინაიდან, პროდუქტები ხშირად ხასიათდებიან საბაზრო ფასების ცვალებადობით და ქვეყნები, რომლებიც ამ პროდუქტებზე არიან დამოკიდებულნი განიცდიან ექსპორტის არასტაბილურობას. ამგვარ არასტაბილურ სიტუაციაში კომპანიები ერიდებიან რისკების გაწევას და შედეგად ინვესტიციების განხორციელებას, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს მაკროეკონომიკურ განუსაზღვრელობას (Ghosh, 1994), (Bleaney, 2001). შესაბამისად ექსპორტის დივერსიფიკაციას შეუძლია ექსპორტით მიღებული შემოსავლის სტაბილიზება გრძელვადიან პერიოდში. საექსპორტო საქონლის გაფართოება შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ექსპორტის დივერსიფიკაციის დინამიკური გავლენა შემოსავალზე. ამასთან დაკავშირებით, „Agosin“ გვთავაზობს ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის მოდელს, სადაც ქვეყნები, რომლებიც იმყოფებიან ტექნოლოგიური განვითარების ქვედა ზღვარზე, აფართოებენ შეფარდებით უპირატესობას იმიტირებით და არსებული პროდუქციის ადაპტაციით (Agosin M. R., 2007).

AL-Marhubi-მ თავის კვლევაში რეგრესული განტოლების გამოყენებით გვიჩვენა ექსპორტის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი. ამ კვლევის მიხედვით, დივერსიფიკაცია დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე (Al-Marhubi, 2000). AL-Marhubi-ის აღმოჩენა განმტკიცდა

¹ UNCTADSTAT: United Nation Conference on Trade and Development <https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=120>

² ექსპორტის კონცენტრაციის ჰერფინდალის ინდექსი არის ცალკეული პროდუქტის კვადრატული წილის ჯამი მთლიან ექსპორტში. ქვეყანას, საექსპორტო პორტფელის სრული დივერსიფიკაციით, აქვს ნულთან მიახლოებული კონცენტრაციის ინდექსი, ხოლო მხოლოდ ერთი პროდუქტის ექსპორტირების შემთხვევაში გააჩნია ერთთან მიახლოებული მნიშვნელობა. კონცენტრაციის მაღალი დონის შემთხვევაში ქვეყანა მოწყვლადია ეკონომიკური ცვლილებების მიმართ.

სხვადასხვა სპეციფიკური მოდელებით. Agosin-მა ჯვარედინი მონაცემების რეგრესული ანალიზით გამოავლინა ექსპორტის დივერსიფიკაციის ძლიერი გავლენა მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე. Lederman Maloney-მ, Amin Gutierrez de Pineres-მა და Ferrantino-მ დაადგინეს კავშირი ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ჩილეში და მათმა აღმოჩენებმა გვაჩვენა, რომ ჩილე იღებს დიდ სარგებელს ექსპორტის დივერსიფიკაციით (Lederman, 2007), (Amin Gutierrez de Pineres, 2000) (Herzer D. a.-L., 2006).

Hausmann, Hwang და Rodrik თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებში ასაბუთებდნენ ექსპორტის დივერსიფიკაციის სარგებელს და ექსპორტის გავლენას ეკონომიკური ზრდაზე. მათი აზრით, შეფარდებითი უპირატესობა არ განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდას. ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელია ინვესტიციების დივერსიფიკაცია ახალ აქტივობებში (Hausmann R. a., 2003) (Hausmann R. J., 2006). Hausmann და Rodrik -ის მოდელის თანახმად, მეწარმეები ახალი პროდუქციის შემუშავებისას აწყდებიან განუსაზღვრელ ხარჯებს. ახალი პროდუქტების წარმატებით განვითარება საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანია, მაგრამ ჩავარდნებით გამოწვეული დანაკარგები კერძო სექტორზე უარყოფითად აისახება (Hausmann R. a., 2003).

აღნიშნულ მოდელში მთავრობის როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის ინდუსტრიული ზრდისა და მეწარმეობის ხელშეწყობისათვის, რაც მათ ასტიმულირებს, დააბანდონ ინვესტიციები ახალ სამეწარმეო აქტივობებში. ხშირ შემთხვევაში მეწარმეობლებს არ შეუძლიათ მათ მიერ წარმოებულ და ექსპორტზე გატანილ სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქტზე მოთხოვნის პროგნოზირება. მას შემდეგ რაც მეწარმეობელი განახორციელებს პროდუქტის ექსპორტირებას და საზღვარგარეთელი მომხმარებელი გაიცნობს პროდუქტსა და მის მახასიათებლებს, შესაძლებელი ხდება მოთხოვნის გაზრდა. ვინაიდან მსგავსი პროდუქტის სხვა ადგილობრივი მეწარმეობლები აკვირდებიან თავიანთ წარმატებას და მარცხს, იმიტაცია წარმოადგენს ექსპორტის წარმატებას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ზრდას. Agosin-მა და Agosin და Bravo-Ortega-მ აჩვენეს ამგვარი მოთხოვნის წარმოქმნა ჩილეს ღვინის ექსპორტის მაგალითზე (Agosin M. R., 2007) .

დივერსიფიკაციის ასპექტები ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობია. მაგალითად, რომერმა დივერსიფიკაცია განსაზღვრა, როგორც წარმოების ფაქტორი (Romer P. M., 1990). ემპირიულ კვლევებზე დაფუძნებით, Imbs-მა და Wacziarg-მა შეიმუშავეს ქვეყნების მასტიმულირებელი ღონისძიებების თეორიული მოდელი, რომელიც გულისხმობდა ქვეყნის შიგნით დივერსიფიკაციას და შემდეგ სპეციალიზაციას (Imbs, 2003). ეკონომიკის დივერსიფიკაციის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც უპირატესობაზე, ასევე საინვესტიციო რისკის განაწილებაზე დაფუძნებული. გარკვეული მოსაზრებების თანახმად, ენგელის ეფექტი გულისხმობს, რომ შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად, ეკონომიკური აგენტები მოითხოვენ სამომხმარებლო საქონლის უფრო დიდ მრავალფეროვნებას. აქედან გამომდინარე, Acemoglu-მ და Zilibotti-მ განავითარეს საინვესტიციო რისკის განაწილების მოსაზრება რომლის მიხედვით დივერსიფიკაცია არის ენდოგენური პროცესი და მეწარმეობლები აბანდებენ მრავალფეროვან სარისკო სექტორებში, რასაც მოჰყვება დივერსიფიკაცია.

კვლევის მეთოდოლოგია და ემპირიული მოდელი

ეკონომიკურ ზრდაზე ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენის შეფასება განხორციელდა დინამიკური რეგრესული განტოლების საშუალებით. შესაბამისად, კვლევაში გამოყენებულია Arellano-ს და Bond-ის მიერ შემუშავებული დინამიკური პანელური ზრდის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია GMM (Generalized Method of Momentum) მეთოდზე (Arellano, 1991). „GMM“ მეთოდს შეუძლია, გადალახოს „OLS“ რეგრესიაში არსებული პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა ჯვარედინი მონაცემთა რეგრესიის დროს. რეგრესული ტოლობის პირველი განსხვავების მხედველობაში მიღებით გამოვრიცხავთ დაკვირვებადი ქვეყნის სპეციფიკის სტაციონარულ ეფექტს. დროითი ლაგის მნიშვნელობის გამოყენების გამო ასევე არ არსებობს ამხსნელი ცვლადების, როგორც ინსტრუმენტის, ენდოგენურობის პრობლემა.

ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების შესაფასებლად გამოყენებულია ზრდის შემდეგი განტოლება:

$$\Delta Y_{it} = \alpha \gamma_{it-1} + x'_{it} + \gamma_t + \eta_i + v_{it}$$

სადაც – აღნიშნავს სხვაობას ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით t პერიოდში, – საწყის შემოსავალს (გალოგარიტმებული), – ზრდის პოტენციური დეტერმინანტის ვექტორი, – განსაზღვრავს დროის გავლენას, – დაუკვირვებადი სტაციონარულ ქვეყნის სპეციფიკის ეფექტს და – ცდომილებას.

კვლევაში აღებულია 7 ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, უკრაინა, ბელარუსია) მონაცემები 1997-2019 წლების პერიოდში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ინტერესის საგანს წარმოადგენს სოლოუს რეგრესული ზრდის მოდელი, სადაც ექსპორტის დივერსიფიკაცია გამოითვლება ვაჭრობის ორმხრივი ნაკადების მიხედვით 1997-2019 წლებში (Feenstra, 2005), რომელიც ეფუძნება ოთხნიშნა „SITC“ კლასიფიკაციას. თითოეული ქვეყნისთვის ექსპორტის კონცენტრაციის გამოსათვლელად ვიყენებთ ჰერფინდალის ინდექსს ზემოთ მოცემული დროის პერიოდებში და რადგან ეს ინდექსი გამოიყენება, როგორც ექსპორტის კონცენტრაციის მაჩვენებელი, მოსალოდნელია რომ მას ექნება უარყოფითი დამოკიდებულება მშპ-ის ზრდასთან მიმართებაში.

კვლევაში ასევე გამოყენებულია ისეთი რეგრესიული ცვლადები, როგორებიცაა ეკონომიკის დიაობა, სოფლის მეურნეობის, მომსახურების დამატებული ღირებულების და მრეწველობის დამატებული ღირებულებების თანაფარდობა მშპ-სთან.


როგორც აღვნიშნეთ, მაკროეკონომიკური ცვლადები დამოკიდებულნი არიან ჯვარედინი რეგრესიით და „GMM“-ის შეფასება ეხმარება მათ ენდოგენური პრობლემის მოგვარებაში. კვლევაში წარმოდგენილი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც სოლოუს ზრდის მოდელში ინვესტიციები და მოსახლეობის ზრდის ცვლადები ენდოგენურია, ასევე ენდოგენურია ექსპორტის კონცენტრაციაც. „GMM“ მოდელში ინსტრუმენტულ ცვლადების სახით გამოყენებულია ლაგური დონე.

კვლევის შედეგები

როგორ უკვე აღვნიშნეთ, სოლოუს ზრდის მოდელი უზრუნველყოფს თეორიაზე დაფუძნებულ სტრატეგიას ექსპორტის დივერსიფიკაციასა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს შორის კავშირის შესაფასებლად. დაკვირვება განხორციელდა 7 ქვეყანაზე 1997-2019 წლებისათვის. კვლევის მეთოდოლოგიაში ახსნილი ემპირიული მოდელის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

დიაგრამა 2

ექსპორტის კონცენტრაცია და მშპ მოსახლეობის ერთ სულზე



ცხრილი 1-ის პირველი სვეტი გვიჩვენებს „GMM“ მოდელის შედეგებს. როგორც ცხრილის პირველი სვეტიდან ჩანს, საწყისი შემოსავლები მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მცირე, მაგრამ დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის შემდგომ ზრდაზე. ასევე დადებით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე განათლება; აღნიშნული ცვლადი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი ცვლადია მოსახლეობის ზრდა, რომელიც ასევე დადებითად აისახება მშპ-ს ზრდაზე, რასაც ვერ ვიტყვით ინვესტიციებზე. მართალია ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს მშპ-ზე თუმცა, აღნიშნული ცვლადი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ეკონომიკის ღიაობა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რომელიც უმნიშვნელო უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ჩვენი კვლევის მიზნისათვის საინტერესო ცვლადია ექსპორტის კონცენტრაციის მაჩვენებელი, რომელიც მშპ-ის ზრდასთან უარყოფით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაში იმყოფება (იხ. დიაგრამა №2), რაც ნიშნავს, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და ადასტურებს ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებითი დამოკიდებულების შესახებ.

ცხრილი 1

სოლოუს ზრდის მოდელის შეფასება „GMM“-ის საშუალებით

	(1)	(2)	(3)	(4)
საწყისი შემოსავლები მშპ	.0002087***	2.38	.0001891***	.0001543***
	(.0000514)	(.0000517)	(.000043)	.0000554)
განათლება	.0232988***	.012099***	.0280093***	.0226492***
	(.0057025)	(.0036176)	(.0034665)	.0071737)
მოსახლეობის ზრდა	.2057759**	-.0027678	.0291218	.2930644*
	(.085594)	(.0760624)	(.1020806)	.1317566)
ინვესტიციები	.0005386	.0095754	-.0033552	-.0017292
	(.010862)	(.008241)	(.0075467)	(.0131955)
ექსპორტის კონცენტრაცია	-.9862806***	-.511399*	1.314754	-.4564217
	(.3608495)	(.2216209)	(.663586)	(.5839162)
ეკონომიკის ღიაობა	-.0000121	.0004643	.0016731	.000477
	(.0014455)	(.0010744)	(.0011819)	(.0015359)
სოფლის მეურნეობის დამატებითი ღირებულების წილის მშპ-ში		-.0619122***		
		(.010266)		
მრეწველობის დამატებითი ღირებულების წილის მშპ-ში			-.0414075***	
			(.0116063)	
მომსახურების დამატებითი ღირებულების წილის მშპ-ში				.0117703
				(.0075707)
მუდმივი	1.247279	2.686187	.9981642	.7745185
კონსტანტა	(.4736103)	(.3419655)	(.3386618)	(.6455001)
დაკვირვება	133	133	133	133
ქვეყნების რაოდენობა	7	7	7	7
დროის პერიოდი	1997-2019	1997-2019	1997-2019	1997-2019

ახლა განვიხილოთ ამავე ცხრილის მომდევნო სვეტი. რომელშიც დამატებულია შემდეგი ცვლადები: სოფლის მეურნეობის დამატებითი ღირებულების თანაფარდობა მშპ-სთან, მრეწველობის დამატებული ღირებულების თანაფარდობა მშპ-სთან და მომსახურების დამატებული ღირე-

ბულების თანაფარდობა მშპ-სთან. ამ შემთხვევაში მდგომარეობა არის შემდეგი: პირველი სვეტისაგან განსხვავებით, განათლება და სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების თანაფარდობა მშპ-თან არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მეორე სვეტის დანარჩენი ცვლადები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპორტის კონცენტრაცია უარყოფითად არის დაკავშირებული მშპ-ის ერთ სულ მოსახლესთან. მესამე და მეოთხე სვეტების მიხედვით ექსპორტის კონცენტრაცია არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი თუმცა მესამე სვეტში დადებითად არის დაკავშირებული მშპ-ის ერთ სულ მოსახლესთან, ხოლო მეოთხე სვეტში – უარყოფითად.

დასკვნა

ამგვარად, აღნიშნული კვლევის ფარგლებში იყო მცდელობა, შეგვესწავლა ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენა შვიდი ქვეყნის ეკონომიკაზე. სტატიაში გაანალიზებულია აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის, ლიეტუვას, ლატვიის და ესტონეთის ექსპორტის დივერსიფიკაციის დინამიკა. ექსპორტის დივერსიფიკაციის საზომად გამოყენებულ იქნა ჰერფინდალის კონცენტრაციის ინდექსი. ამ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანის ექსპორტის კონცენტრაციის ხარისხი არის ყველაზე მაღალი, ხოლო ლატვიის, ესტონეთისა და ლიეტუვას დაბალი. მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის დივერსიფიკაციის გავლენის შეფასება მოხდა დინამიკური პანელური რეგრესული მოდელის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია „GMM“ მეთოდზე.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ექსპორტის დივერსიფიკაცია ეკონომიკურ ზრდაზე დადებით გავლენას ახდენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Agosin, M. R. (2007). "Export Diversification and Growth in Emerging Economies.". Chile.: Working Paper No. 233. Departamento de Economía, Universidad de Chile.
- Agosin, M. R. (2007). "Export Diversification and Growth in Emerging Economies.". Working Paper No. 233. Departamento de Economía, Universidad de Chile.
- Al-Marhubi, F. (2000). "Export Diversification And Growth: An Empirical Investigation.". Applied Economics Letters , 7: 559-62.
- Amin Guitierrez de Pineres, S. a. (2000). Export Dynamics and Economic Growth in Latin America. Burlington: Vermont: Ashgate Publishing Ltd.
- Arellano, M. a. (1991). Some Tests of Specification for Panel Data: Monte Carlo Evidence and an Application to Employment Equations. Review of Economic Studies, 58(2): 277-97.
- Bleaney, M. a. (2001). The Impact of Terms of Trade and Real Exchange Volatility on Investment and Growth in Sub-Saharan Africa. Journal of Development Economics , 65: 491-500.
- Cadot, O. C.-K. (2011). Export diversification: What's behind the hump? The Review of Economics and Statistics, pp. 590-605.
- Cass, D. (1965). Optimum Growth in an Aggregate Model of Capital Accumulation, Oxford Journal, 32(3), 233-240.
- Chenery, H. (1979). Structural Change and Development Policy. . New York: Oxford University Press.
- Feenstra, R. R. (2005). "World Trade Flows: 1962-2000.". Cambridge, MA: Working Paper 11040. National Bureau of Economic Research.
- Ghosh, A. R. (1994). Export Instability and the External Balance in Developing Countries.". 41: 214-35.: IMF Staff Papers .
- Grossman, G. a. (1991). Innovation and Growth in the Global Economy. Cambridge : Cambridge MA: MIT Press. .
- Hausmann, R. a. (2003). "Economic Development as Self-Discovery." . Journal of Development Economics, 72: 603-33.

- Hausmann, R. J. (2006). "What You Export Matters.". Working Paper. Center for International Development, Harvard University.
- Herzer, D. &. (2006). What Does Export Diversification do for Growth? An Econometric Analysis. Applied Economics, 38, 1825-1838.
- Imbs, J. a. (2003). Stages of Diversification. American Economic Review, 93(1): 63-86.
- Kaulich, F. (2012). Diversification vs Specialization as Alternative Strategies for Economic Development: Can We Settle a Debate by Looking at The Empirical Evidence? United Nations Industrial Development Organization, working paper: 3/2012.
- Koren, M. a. ((2013).). Technological diversification. The American Economic Review, 103(1), 378-414.
- Lederman, D. a. (2007). Trade Structure and Growth." In Natural Resources: Neither Curse Nor Destiny, D. Lederman and W.F. Maloney, eds. Palo Alto: Stanford University Press.
- Rebelo, S. (1991). Long-Run Policy Analysis and Long-Run Growth, The University of Chicago Press, 99(3), 500-521.
- Ricardo D. (1817). On the Principles of Political Economics and Taxation. Batoche Books Kitchener.
- Romer, P. (1990). Endogenous Technological Change. National Bureau Of Economic Research, Working Paper no: 3210. .
- Smith, A. (1776). An Inquiry into the Nature and Causes of Wealth of Nation.
- Solow, R. (1956). The Contribution of the Theory of Economic Growth. The quarterly journal of economics, 70(1), 65-94.
- Sikharulidze, D. Kikutadze, V. Innovation and Export Competitiveness: Evidence from Georgia Firms. European Journal of Economics and Business Studies. 2017. Vol. 8. pp. 131-137.